



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

საკორდინაციო საბჭოს შეხვედრა

თარიღი: 24 თებერვალი, 2020 წელი

დრო: 15:00 -17:00

შეხვედრის ადგილი: ლიბერალური აკადემია - თბილისის ოფისი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ლაშა ტულუში - ევროპული ინიციატივა - ლიბერალური აკადემია თბილისი
2. ნათია კუპრაშვილი - ჟურნალისტიკის რესურს ცენტრი
3. მაკა ჯახუა - ასოციაცია და რადიო „მწვანე ტალღა“
4. დავით ცისკარიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი
5. კონსტანტინე ჟღენტი - საქართველოს ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია
6. ნინო ჩხობაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები
7. ცირა მესხიშვილი - ასოციაცია „ტოლერანტი“
8. ნუკრი ყველაშვილი - ახალგაზრდული ალტერნატივა
9. ნუგზარ კოხრიძე - სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“

განსახილველი საკითხები:

1. აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საკითხები
2. აქტივობის შეფასების ცხრილის ფორმირება

3. აჭარის ტელევიზიის საკითხი
4. სექტორული შეხვედრების დაგეგმვა
5. სხვა საკითხები

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გახსნა საბჭოს თავმჯდომარემ, ლაშა ტულუშმა. მან საკოორდინაციო საბჭოს წევრებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი და განსახილველი საკითხები.

პირველ საკითხად მმართველი კომიტეტის თავმჯდომარემ ისაუბრა იმ ინიციატივაზე, რომელიც განხორციელდება 2019-2020 წელს დაგეგმილი აქტივობების ფარგლებში. პლატფორმის საქმიანობისა და წევრი ორგანიზაციების ჩართულობის გაზრდა არის საკოორდინაციო საბჭოს მუშაობის ერთ-ერთი მიზანი. სწორედ ამიტომ შემუშავდა აქტივობების შეფასების კრიტერიუმების ცხრილის სამუშაო ვერსია, ეროვნული პლატფორმის წევრი ორგანიზაციებისთვის. ცხრილი აღწერს პლატფორმის წევრი ორგანიზაციების ჩართულობასა და აქტიურობას კოალიციის მუშაობაში. საკოორდინაციო საბჭოს მიერ გამოთქმული კომენტარების საფუძველზე მოხდება ანიშნული კითხვარის დახვეწა და შემდეგ გაზიარება ეროვნული პლატფორმის საერთო ქსელში.

ეროვნულმა კოორდინატორმა, ნათია კუპრაშვილმა, საკოორდინაციო საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის დელეგატების შერჩევის პროცესთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც მოხდება 2020-2021 წელს მათი შერჩევა. ფორუმის გადაწყვეტილებით დელეგატების შერჩევა მოხდება „3 ხმის პრინციპით“. ამ ეტაპისთვის ფორუმში მიმდინარეობს ხმების საბოლოო დათვლა იმ კვოტების შესაბამისად, რომელიც განსაზღვრული იყო დელეგატების შერჩევის პროცესისთვის.

მმართველი კომიტეტის შეხვედრაზე ისაუბრეს მედიაში მიმდინარე პროცესებზე, კერძოდ საზოგადოებრივი მაუწყებლის, აჭარის ტელევიზიისა და რადიოს გარშემო დღეს არსებულ ვითარებაზე. ეროვნული კოორდინატორი, აღნიშნულ საკითხზე, მოამზადებს განცხადების ტექსტს, რომელიც გაზიარებული იქნება საკოორდინაციო საბჭოსთან და შემდეგ გავრცელდება პლატფორმის წევრებთან.

საკოორდინაციო საბჭოს წევრებმა იმსჯელეს სექტორული შეხვედრის ჩატარების თემატიკაზე. გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელზეც დაიგეგმება სექტორული შეხვედრების გამართვა.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე

